საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრის

ერთობლივი ბრძანება №166 – №1-1/317

2021 წლის 9 ივლისი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების ფორმებისა და მათი შევსების/დადასტურების წესების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 და 25-ე მუხლების, „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 1^2 მუხლის პირველი პუნქტის, „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №47 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის, „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №82 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის, „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №84 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის, „მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებთ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა და მისი შევსებისა და დადასტურების წესი (დანართი №1);

ბ) „სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა და მისი შევსებისა და დადასტურების წესი (დანართი №2);

გ) „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა და მისი შევსებისა და დადასტურების წესი (დანართი №3);

დ) „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა და მისი შევსებისა და დადასტურების წესი (დანართი №4);

ე) „მანქანა-დანადგარის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა და მისი შევსებისა და დადასტურების წესი (დანართი №5).

მუხლი 2

1. შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა (შემდგომში – სააგენტო) და სსიპ – შემოსავლების სამსახურს (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლით დადგენილი წესით სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურს შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება:

ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრული რისკების შესახებ, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში;

ბ) პროდუქტების შესახებ, რომლებზეც შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით არ არის განსაზღვრული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო კოდი და სავალდებულოა იმპორტის წინასწარი შეტყობინების წარდგენა.

3. ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურს შორის, ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლა ხდება ელექტრონული ფორმით, სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრული ელექტრონული ფოსტების საშუალებით. ამ გზით მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ პოზიციებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მიზნებისათვის.

4. სააგენტო და შემოსავლების სამსახური ამ მუხლის მიზნებისათვის განსაზღვრავენ პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გაცვალონ და შესაბამისად გამოიყენონ ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმისა და მისი შევსების/დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 17 ივლისის №224/№1-1/349 ერთობლივი ბრძანება.

მუხლი 4

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმისა და მისი შევსებისა და დადასტურების წესისა (დანართი №3), პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმისა და მისი შევსებისა და დადასტურების წესისა (დანართი №4) და პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „მანქანა-დანადგარის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმისა და მისი შევსებისა და დადასტურების წესისა (დანართი №5), ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა და მისი შევსებისა და დადასტურების წესი (დანართი №3), პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა და მისი შევსებისა და დადასტურების წესი (დანართი №4) და პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „მანქანა-დანადგარის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა და მისი შევსებისა და დადასტურების წესი (დანართი №5) ამოქმედდეს 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი	**ლაშა ხუციშვილი**
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	**ნათელა თურნავა**

დანართი №1

„სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა, მისი შევსებისა და დადასტურების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“ (დანართი №1-01) (შემდგომში – „შეტყობინება“) ელექტრონულად ივსება და რეგისტრირდება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით.

2. თუ სასაქონლო პარტია შედგება რამდენიმე დასახელების სამშენებლო პროდუქტისაგან, იმპორტიორის მიერ შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ერთი ან რამდენიმე „შეტყობინება“.

3. „შეტყობინება“ შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) ნაწილი I (ინფორმაცია სამშენებლო პროდუქტის შესახებ), რომელიც ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად ივსება იმპორტიორის მიერ და რეგისტრირდება იმპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციამდე;

ბ) ნაწილი II (სააგენტოს გადაწყვეტილება საქონელზე), რომელშიც ელექტრონულად აისახება სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) უფლებამოსილი პირის მიერ საქონლის მიმართ განხორციელებული/განსახორციელებელი პროცედურების შესახებ ინფორმაცია ან/და მიღებული გადაწყვეტილება.

4. „შეტყობინების“ ნაწილი I უნდა შეიცავდეს მონაცემებს სამშენებლო პროდუქტის შესაბამისობის შეფასებისათვის, „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ის არსებობის შესახებ, აგრეთვე, საქონლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას.

5. ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება საქონლის ამავე ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობა, უნდა აიტვირთოს „შეტყობინების“ ელექტრონულ მოდულში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით, „შეტყობინების“ ნაწილი I-ის („ინფორმაცია სამშენებლო პროდუქტის შესახებ“) რეგისტრაციამდე. ელექტრონულად წარდგენილი ეს დოკუმენტები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან/იმპორტიორთან, რომელიც ვალდებულია, მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი შემოსავლების სამსახურს ან/და სააგენტოს.

6. „შეტყობინების“ ნაწილი I რეგისტრაციისთანავე წარედგინება შემოსავლების სამსახურსა და სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით.

7. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის შემოწმება ხორციელდება რისკების მართვის სისტემის გამოყენებით.

8. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის რეგისტრაციისთანავე, „შეტყობინება“ დასტურდება ავტომატურად, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში ინტეგრირებულ რისკის პროფილთან საქონლის მონაცემების თანხვედრის შემთხვევაში, სააგენტო არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ახორციელებს „შეტყობინებისა“ და თანდართული დოკუმენტების სრულ ან ნაწილობრივ შემოწმებას, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად. შემოწმების შედეგად სააგენტოს მიერ შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება „შეტყობინების“ დადასტურების, უარყოფის ან დამატებითი კვლევის საჭიროების შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „შეტყობინება“ შევსებულია ისეთ პროდუქტზე, რომელზეც არ ვრცელდება ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება, სააგენტოს მიერ კეთდება შემდეგი მითითება – „არ ექცევა რეგლამენტის ქვეშ“. განსაზღვრულ ვადაში სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, „შეტყობინება“ დასტურდება ავტომატურად, მისი ნაწილი I-ის რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის გასვლისთანავე.

10. თუ სააგენტოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება დამატებითი კვლევის საჭიროების შესახებ, ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება. შესაბამისი კვლევის (მათ შორის, ლაბორატორიული კვლევა) შედეგების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება „შეტყობინების“ დადასტურების ან უარყოფის შესახებ ან მიეთითება „არ ექცევა რეგლამენტის ქვეშ“.

11. სამშენებლო პროდუქტის იმპორტისას საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ „შეტყობინების“ დადასტურების შემდეგ. დადასტურებული „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“ დანართი №1-02-ით გათვალისწინებული ფორმით უნდა დაერთოს იმპორტის საბაჟო დეკლარაციას.

12. ამ წესის მიზნებისათვის ტერმინები „საქონელი“ და „სამშენებლო პროდუქტ(ებ)ი“ გამოიყენება ტექნიკური რეგლამენტის დანართი VI-ით განსაზღვრული სამშენებლო პროდუქტების (ცემენტი, ელექტრო კაბელები, არმატურა, პლასტმასის მილები, თაბაშირ-მუყაო) მნიშვნელობით.

მუხლი 2. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის („ინფორმაცია სამშენებლო პროდუქტის შესახებ“) შევსება

1. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის (ინფორმაცია სამშენებლო პროდუქტის შესახებ) გრაფები იმპორტიორის მიერ ივსება ელექტრონულად, გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით, რის საფუძველზეც ხორციელდება იმპორტიორის იდენტიფიცირება.

2. იმპორტიორის მიერ თავდაპირველად შეირჩევა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურისათვის განკუთვნილი სამშენებლო პროდუქტის შესაბამისი ველი „ცემენტი“, „ელექტროკაბელი“, „არმატურა“, „პლასტმასის მილი“ ან „თაბაშირ-მუყაო“.

3. „ცემენტის“ ველის შერჩევის შემთხვევაში, შესაბამის გრაფებში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გრაფა 1. „პროდუქტი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული სამშენებლო პროდუქტის (ცემენტის) შესახებ. კერძოდ, გრაფის განყოფილებაში:

ა.ა) „დასახელება“ – აღინიშნება სამშენებლო პროდუქტის ზოგადი აღწერილობა ან საქონლის დასახელება;

ა.ბ) „კოდი“ – მიეთითება ტექნიკური რეგლამენტის VI დანართით „ცემენტისათვის“ განსაზღვრული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) სასაქონლო კოდი – „25232900000“;

ა.გ) „წონა/რაოდენობა“ – აღინიშნება კონკრეტული საქონლის რაოდენობრივი/წონის მაჩვენებელი;

ა.დ) „ზომის ერთეული“ – მიეთითება შესაბამისი ზომის ერთეული: კგ, ტონა ან სხვ.

ბ) გრაფა 2. „ინვოისი“ – გრაფის შესაბამის განყოფილებებში აღინიშნება კონკრეტული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნომერი და თარიღი;

გ) გრაფა 3. „მწარმოებელი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, სადაც წარმოებულია სამშენებლო პროდუქტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება მწარმოებლის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – მწარმოებლის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) გრაფა 4. „ექსპორტიორი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის ექსპორტიორის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი სამშენებლო პროდუქტის ექსპორტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – ექსპორტიორის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) გრაფა 5. „შესაბამისობის დადასტურება“ – აღინიშნება მონაცემები, რითაც დასტურდება კონკრეტული საქონლის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ პირობებთან, ტექნიკური რეგლამენტის 1^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან. კერძოდ:

ე.ა) გრაფის განყოფილება „თვისებების დეკლარაცია“ ივსება, თუ საქონელს თან ახლავს „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაცია“ და განყოფილების სვეტებში შესაბამისად მიეთითება წარმოდგენილი დოკუმენტის ნომერი, გაცემის თარიღი და იმ სტანდარტის ნომერი, რომელსაც აკმაყოფილებს კონკრეტული სამშენებლო პროდუქტი;

ე.ბ) გრაფის განყოფილება „შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი“ ივსება, თუ „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაციის“ ნაცვლად წარმოდგენილია შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამ განყოფილების პირველ სვეტში მიეთითება შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, ხოლო მეორე სვეტში – ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქონლის შესაბამისობის დასადგენად;

ე.გ) გრაფის განყოფილება „საკანონმდებლო გამონაკლისი“ ივსება, თუ არ არსებობს „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაციის“ ან შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება. ამ განყოფილების პირველ სვეტში მიეთითება შესაბამისი საფუძველი (მაგალითისათვის: თუ სახეზეა ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოება: „წარმოებულია ინდივიდუალურად ან შეკვეთით“ ან „წარმოებულია ტრადიციული მეთოდით ან კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის“, აღნიშნული გარემოება უნდა დასტურდებოდეს სათანადო დოკუმენტ(ებ)ით), ხოლო მეორე სვეტში მიეთითება დამატებით ინფორმაცია, კონკრეტული მიზეზები და დასაბუთება, თუ რატომ ექცევა აღნიშნული პროდუქტი საკანონმდებლო გამონაკლისში;

ე.დ) გრაფის განყოფილებაში „ფაილის ატვირთვა“ დანართის სახით უნდა აიტვირთოს ამ პუნქტის „ე.ა“, „ე.ბ“ ან „ე.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი.

4. „ელექტროკაბელის“ ველის შერჩევის შემთხვევაში, შესაბამის გრაფებში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გრაფა 1. „პროდუქტი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული სამშენებლო პროდუქტის (ელექტრო კაბელების) შესახებ. კერძოდ, გრაფის განყოფილებაში:

ა.ა) „დასახელება“ – აღინიშნება სამშენებლო პროდუქტის ზოგადი აღწერილობა ან საქონლის დასახელება;

ა.ბ) „კოდი“ – მიეთითება ტექნიკური რეგლამენტის VI დანართით „ელექტრო-კაბელებისათვის“ განსაზღვრული, სეს ესნ-ის შესაბამისი სასაქონლო კოდი;

ა.გ) „წონა/რაოდენობა“ – აღინიშნება კონკრეტული საქონლის რაოდენობრივი/წონის მაჩვენებელი;

ა.დ) „ზომის ერთეული“ – მიეთითება შესაბამისი ზომის ერთეული: კგ, ტონა ან სხვ.

ბ) გრაფა 2. „ინვოისი“ – გრაფის შესაბამის განყოფილებებში აღინიშნება კონკრეტული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნომერი და თარიღი;

გ) გრაფა 3. „მწარმოებელი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, სადაც წარმოებულია სამშენებლო პროდუქტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება მწარმოებლის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო

გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – მწარმოებლის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) გრაფა 4. „ექსპორტიორი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის ექსპორტიორის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი სამშენებლო პროდუქტის ექსპორტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – ექსპორტიორის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) გრაფა 5. „შესაბამისობის დადასტურება“ – აღინიშნება მონაცემები, რითაც დასტურდება კონკრეტული საქონლის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ პირობებთან, ტექნიკური რეგლამენტის 1^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან. კერძოდ:

ე.ა) გრაფის განყოფილება „თვისებების დეკლარაცია“ ივსება თუ საქონელს თან ახლავს „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაცია“ და განყოფილების სვეტებში შესაბამისად მიეთითება წარმოდგენილი დოკუმენტის ნომერი, გაცემის თარიღი და იმ სტანდარტის ნომერი, რომელსაც აკმაყოფილებს კონკრეტული სამშენებლო პროდუქტი;

ე.ბ) გრაფის განყოფილება „შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი“ ივსება თუ „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაციის“ ნაცვლად წარმოდგენილია შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამ განყოფილების პირველ სვეტში მიეთითება შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, ხოლო მეორე სვეტში – ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქონლის შესაბამისობის დასადგენად;

ე.გ) გრაფის განყოფილება „საკანონმდებლო გამონაკლისი“ ივსება თუ არ არსებობს „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაციის“ ან შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება. ამ განყოფილების პირველ სვეტში მიეთითება შესაბამისი საფუძველი (მაგალითისათვის: თუ სახეზეა ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოება: „წარმოებულია ინდივიდუალურად ან შეკვეთით“ ან „წარმოებულია ტრადიციული მეთოდით ან კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის“, აღნიშნული გარემოება უნდა დასტურდებოდეს სათანადო დოკუმენტ(ებ)ით), ხოლო მეორე სვეტში მიეთითება დამატებით ინფორმაცია, კონკრეტული მიზეზები და დასაბუთება, თუ რატომ ექცევა აღნიშნული პროდუქტი საკანონმდებლო გამონაკლისში;

ე.დ) გრაფის განყოფილებაში „ფაილის ატვირთვა“ დანართის სახით უნდა აიტვირთოს ამ პუნქტის „ე.ა“, „ე.ბ“ ან „ე.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი.

5. „არმატურის“ ველის შერჩევის შემთხვევაში, შესაბამის გრაფებში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გრაფა 1. „პროდუქტი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული სამშენებლო პროდუქტის (არმატურის) შესახებ. კერძოდ, გრაფის განყოფილებაში:

ა.ა) „დასახელება“ – აღინიშნება სამშენებლო პროდუქტის ზოგადი აღწერილობა ან საქონლის დასახელება;

ა.ბ) „კოდი“ – მიეთითება ტექნიკური რეგლამენტის VI დანართით „არმატურისათვის“ განსაზღვრული სეს ესნ-ის სასაქონლო კოდი – „7214“;

ა.გ) „წონა/რაოდენობა“ – აღინიშნება კონკრეტული საქონლის რაოდენობრივი/წონის მაჩვენებელი;

ა.დ) „ზომის ერთეული“ – მიეთითება შესაბამისი ზომის ერთეული;

ბ) გრაფა 2. „ინვოისი“ – გრაფის შესაბამის განყოფილებებში აღინიშნება კონკრეტული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნომერი და თარიღი;

გ) გრაფა 3. „მწარმოებელი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, სადაც წარმოებულია სამშენებლო პროდუქტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება მწარმოებლის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – მწარმოებლის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) გრაფა 4. „ექსპორტიორი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის ექსპორტიორის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი სამშენებლო პროდუქტის ექსპორტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – ექსპორტიორის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) გრაფა 5. „შესაბამისობის დადასტურება“ – აღინიშნება მონაცემები, რითაც დასტურდება კონკრეტული საქონლის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის IV დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ამ გრაფის განყოფილებები ივსება შემდეგი წესით:

ე.ა) გრაფის განყოფილება „შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი“ ივსება, თუ საქონელზე წარმოდგენილია ტექნიკური რეგლამენტის IV დანართის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სტანდარტებიდან ერთ-ერთის შესაბამისად, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ გაცემული „შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი“, რომელიც ადასტურებს, პროდუქტისა და პროდუქტის საწარმოო კონტროლის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. ამ განყოფილების სვეტში „კლასი/გრადაცია“ მიეთითება შესაბამისი საქონლის (არმატურის) ტექნიკური კლასი/გრადაცია, სვეტში – „სტანდარტი“ მიეთითება იმ სტანდარტის ნომერი, რომელსაც აკმაყოფილებს სამშენებლო პროდუქტი; სვეტში – „ნომერი“

მიეთითება „შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის“ ნომერი, სვეტში – „თარიღი“ მიეთითება ამ დოკუმენტზე მითითებული თარიღი, სვეტში „გამცემი პირი“ – შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს დასახელება, რომელმაც გასცა შესაბამისი სერტიფიკატი. ამ განყოფილების შევსების შემთხვევაში, მომდევნო განყოფილების („შემოწმების სერტიფიკატი 3.1“) შევსება სავალდებულოა;

ე.ბ) გრაფის განყოფილება „შემოწმების სერტიფიკატი 3.1“ ივსება, თუ საქონელზე წარმოდგენილია „შემოწმების სერტიფიკატი №3.1 „ლითონის პროდუქტები. შემოწმების დოკუმენტების ტიპების შესახებ“ სსტ ენ 10204:2004 სტანდარტის შესაბამისად. განყოფილების შესაბამის სვეტებში მიეთითება ამ სერტიფიკატის ნომერი და თარიღი, ხოლო მე-3 სვეტში („კლასი/გრადაცია“) ჩაიწერება საქონლის (არმატურის) ტექნიკური კლასი/გრადაცია. ამ განყოფილების შევსების შემთხვევაში, წინამდებარე განყოფილების („შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი“) შევსება სავალდებულოა;

ე.გ) გრაფის განყოფილება „შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი“ ივსება თუ ამ პუნქტის „ე.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სერტიფიკატების ნაცვლად წარმოდგენილია შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამ განყოფილების პირველ სვეტში მიეთითება შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, ხოლო მეორე სვეტში – ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქონლის შესაბამისობის დასადგენად;

ე.დ) გრაფის განყოფილებაში „ფაილის ატვირთვა“ დანართის სახით უნდა აიტვირთოს ამ პუნქტის „ე.ა“ და „ე.ბ“ ან „ე.გ“ ქვეპუნქტ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი.

6. „პლასტმასის მილის“ ველის შერჩევის შემთხვევაში, შესაბამის გრაფებში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გრაფა 1. „პროდუქტი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული სამშენებლო პროდუქტის (პლასტმასის მილების) შესახებ. კერძოდ, გრაფის განყოფილებაში:

ა.ა) „დასახელება“ – აღინიშნება სამშენებლო პროდუქტის ზოგადი აღწერილობა ან საქონლის დასახელება;

ა.ბ) „კოდი“ – მიეთითება ტექნიკური რეგლამენტის VI დანართით „პლასტმასის მილებისათვის“ განსაზღვრული შესაბამისი სეს ესნ-ის სასაქონლო კოდი;

ა.გ) „წონა/რაოდენობა“ – აღინიშნება კონკრეტული საქონლის რაოდენობრივი/წონის მაჩვენებელი;

ა.დ) „ზომის ერთეული“ – მიეთითება შესაბამისი ზომის ერთეული;

ბ) გრაფა 2. „ინვოისი“ – გრაფის შესაბამის განყოფილებებში აღინიშნება კონკრეტული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნომერი და თარიღი;

გ) გრაფა 3. „მწარმოებელი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, სადაც წარმოებულია სამშენებლო პროდუქტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება მწარმოებლის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის

განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – მწარმოებლის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) გრაფა 4. „ექსპორტიორი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის ექსპორტიორის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი სამშენებლო პროდუქტის ექსპორტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – ექსპორტიორის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) გრაფა 5. „შესაბამისობის დადასტურება“ – აღინიშნება მონაცემები, რითაც დასტურდება კონკრეტული საქონლის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის V დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ამ გრაფის განყოფილებები ივსება შემდეგი წესით:

ე.ა) გრაფის განყოფილება „ტექნიკური დოკუმენტი“ ივსება, თუ საქონელზე წარმოდგენილია ტექნიკური რეგლამენტის V დანართის 1.1.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი. პირველ სვეტში „ტიპი“ ჩამოსაშლელი ველიდან შეირჩევა კონკრეტულ საქონელზე წარმოდგენილი დოკუმენტის სახეობა: „ტექნიკური პასპორტი“ შეირჩევა, თუ საქონელზე წარმოდგენილია სამშენებლო პროდუქტის ტექნიკური პასპორტი, „ინსტრუქცია“ შეირჩევა, თუ საქონელზე წარმოდგენილია სამშენებლო პროდუქტის ინსტრუქცია, ხოლო „სხვა დოკუმენტი“ – თუ საქონელზე წარმოდგენილია ტექნიკური პასპორტისა და ინსტრუქციის გარდა სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია სათანადო ინფორმაცია (მწარმოებლის სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საკონტაქტო ინფორმაცია; სამშენებლო პროდუქტის საიდენტიფიკაციო მონაცემები; ტექნიკური პირობები, რომელსაც სამშენებლო პროდუქტი აკმაყოფილებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; პროდუქტის ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები; პროდუქტის დანიშნულების მიხედვით გამოყენება). ამ განყოფილების სხვა სვეტებში მიეთითება შესაბამისი დოკუმენტის გაცემის თარიღი და ნომერი;

ე.ბ) გრაფის განყოფილებაში „ფაილის ატვირთვა“ დანართის სახით უნდა აიტვირთოს ამ პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი.

7. „თაბაშირ-მუყაოს“ ველის შერჩევის შემთხვევაში, შესაბამის გრაფებში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გრაფა 1. „პროდუქტი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული სამშენებლო პროდუქტის (თაბაშირ-მუყაოს) შესახებ. კერძოდ, გრაფის განყოფილებაში:

ა.ა) „დასახელება“ – აღინიშნება სამშენებლო პროდუქტის ზოგადი აღწერილობა ან საქონლის დასახელება;

ა.ბ) „კოდი“ – მიეთითება ტექნიკური რეგლამენტის VI დანართით „თაბაშირ-მუყაოსათვის“ განსაზღვრული, სეს ესნ-ის სასაქონლო კოდი – „6809 11 000 00“;

ა.გ) „წონა/რაოდენობა“ – აღინიშნება კონკრეტული საქონლის რაოდენობრივი/წონის მაჩვენებელი;

ა.დ) „ზომის ერთეული“ – მიეთითება შესაბამისი ზომის ერთეული;

ბ) გრაფა 2. „ინვოისი“ – გრაფის შესაბამის განყოფილებებში აღინიშნება კონკრეტული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნომერი და თარიღი;

გ) გრაფა 3. „მწარმოებელი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, სადაც წარმოებულია სამშენებლო პროდუქტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება მწარმოებლის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – მწარმოებლის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) გრაფა 4. „ექსპორტიორი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის ექსპორტიორის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი სამშენებლო პროდუქტის ექსპორტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – ექსპორტიორის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) გრაფა 5. „შესაბამისობის დადასტურება“ – აღინიშნება მონაცემები, რითაც დასტურდება კონკრეტული საქონლის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ პირობებთან, ტექნიკური რეგლამენტის 1^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან. კერძოდ:

ე.ა) გრაფის განყოფილება „თვისებების დეკლარაცია“ ივსება, თუ საქონელს თან ახლავს „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაცია“ და განყოფილების სვეტებში, შესაბამისად, მიეთითება წარმოდგენილი დოკუმენტის ნომერი, გაცემის თარიღი და იმ სტანდარტის ნომერი, რომელსაც აკმაყოფილებს კონკრეტული სამშენებლო პროდუქტი;

ე.ბ) გრაფის განყოფილება „შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი“ ივსება, თუ „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაციის“ ნაცვლად წარმოდგენილია შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამ განყოფილების პირველ სვეტში მიეთითება შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, ხოლო მეორე სვეტში – ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქონლის შესაბამისობის დასადგენად;

ე.გ) გრაფის განყოფილება „საკანონმდებლო გამონაკლისი“ ივსება, თუ არ არსებობს „სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაციის“ ან შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება. ამ განყოფილების პირველ სვეტში

მიეთითება შესაბამისი საფუძველი (მაგალითისათვის: თუ სახეზეა ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოება: „წარმოებულია ინდივიდუალურად ან შეკვეთით“ ან „წარმოებულია ტრადიციული მეთოდით ან კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის“, აღნიშნული გარემოება უნდა დასტურდებოდეს სათანადო დოკუმენტ(ებ)ით), ხოლო მეორე სვეტში მიეთითება დამატებით ინფორმაცია, კონკრეტული მიზეზები და დასაბუთება, თუ რატომ ექცევა აღნიშნული პროდუქტი საკანონმდებლო გამონაკლისში;

ე.დ) გრაფის განყოფილებაში „ფაილის ატვირთვა“ დანართის სახით უნდა აიტვირთოს ამ პუნქტის „ე.ა“, „ე.ბ“ ან „ე.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი.

8. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის („მონაცემები საქონლის შესახებ“) სხვა გრაფები ივსება გრაფის დასახელების შესაბამისად, კერძოდ:

ა) გრაფა „პასუხისმგებელი პირის პ/ნ ან ს/ნ“ – მიეთითება საქონელზე პასუხისმგებელი პირის (იმპორტიორი ან მისი წარმომადგენელი) 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი (მათ შორის, იმ შემთხვევაში თუ საქონელზე პასუხისმგებელი პირი არარეზიდენტი ან მეწარმე ფიზიკური პირია) ან პირადი ნომერი;

ბ) გრაფა „პასუხისმგებელი პირის დასახელება“ – მიეთითება საქონელზე პასუხისმგებელი პირის (იმპორტიორი ან მისი წარმომადგენელი) სახელწოდება ან სახელი და გვარი;

გ) გრაფა „პასუხისმგებელი პირის მისამართი“ – მიეთითება საქონელზე პასუხისმგებელი პირის (იმპორტიორი ან მისი წარმომადგენელი) მისამართი;

დ) გრაფა „პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ტელეფონი“ – მიეთითება საქონელზე პასუხისმგებელი პირის (იმპორტიორი ან მისი წარმომადგენელი) აქტიური ტელეფონის ნომერი;

ე) გრაფა „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – ივსება მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში და მიეთითება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნ(ებ)ა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, შესაბამისი კონტეინერის ნომერი, საჰაერო ხომალდის რეისის, ბორტის და ავიაზედდებულის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვ.). ასევე უნდა მიეთითოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის დასახელება;

ვ) გრაფა „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე“ – ივსება მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში და მიეთითება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც ხორციელდება საქონლის მიწოდება გაფორმების საბაჟო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, შესაბამისი კონტეინერის ნომერი, საჰაერო ხომალდის რეისის, ბორტის და ავიაზედდებულის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვ.). ასევე უნდა მიეთითოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის დასახელება.

დანართი №1-01 „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ელექტრონულად შესავსები ფორმა

სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება

რეგისტრაციის N: _____ თარიღი:

ნაწილი I. ინფორმაცია სამშენებლო პროდუქტის შესახებ

ელემენტი	1. პროდუქტი				2.ინვოისი		3. მწარმოებელი				4. ექსპორტიორი				5. შესაბამისობის დადასტურება							
															თვისებების დეკლარაცია			შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი		საკანონმდებლო გამონაკლისი		
	დასახელება	კოდი	წონა/რაოდენობა	ზომის ერთეული	ნომერი	თარიღი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	თარიღი	ნომერი	სტანდარტი	დოკ. სახელი	დამატ. ინფორ	საფუძველი	დამატ. ინფორ	

ელექტრო კაბელი	1. პროდუქტი				2.ინვოისი		3. მწარმოებელი				4. ექსპორტიორი				5. შესაბამისობის დადასტურება							
															თვისებების დეკლარაცია			შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი		საკანონმდებლო გამონაკლისი		
	დასახელება	კოდი	წონა/რაოდენობა	ზომის ერთეული	ნომერი	თარიღი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	თარიღი	ნომერი	სტანდარტი	დოკ. სახელი	დამატ. ინფორ	საფუძველი	დამატ. ინფორ	

არმატურა	1. პროდუქტი				2.ინვოისი		3. მწარმოებელი				4. ექსპორტიორი				5. შესაბამისობის დადასტურება										
															შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი					შემოწმების სერტიფიკატი 3.1			შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი		
	დასახელება	კოდი	წონა/რაოდენობა	ზომის ერთეული	ნომერი	თარიღი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	კლასი/გრადაცია	სტანდარტი	ნომერი	თარიღი	გამცემი პირი	ნომერი	თარიღი	კლასი/გრადაცია	დოკუმენტის სახელი	დამატ. ინფორ	

	1. პროდუქტი				2.ინვოისი		3. მწარმოებელი				4. ექსპორტიორი				5. შესაბამისობის დადასტურება			
															ტექნიკური დოკუმენტი			
	დასახელება	კოდი	წონა/ რაოდენობა	ზომის ერთეული	ნომერი	თარიღი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	ტიპი	თარიღი	ნომერი	
პლასტმასის მილი																		

	1. პროდუქტი				2.ინვოისი		3. მწარმოებელი				4. ექსპორტიორი				5. შესაბამისობის დადასტურება							
															თვისებების დეკლარაცია			შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი		საკანონმდებლო გამონაკლისი		
	დასახელება	კოდი	წონა/ რაოდენობა	ზომის ერთეული	ნომერი	თარიღი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	ქვეყანა	ს/ნ ან პ/ნ	დასახელება	მისამართი	თარიღი	ნომერი	სტანდარტი	დოკ. სახელი	დამატ. ინფორ	საფუძველი	დამატ. ინფორ	
თაბაშირ-ბუყარო																						

პასუხისმგებელი პირის პ/ნ ან ს/ნ:	პასუხისმგებელი პირის დასახელება:
პასუხისმგებელი პირის მისამართი:	პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ტელეფონი:
სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე:	სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე:

ნაწილი II. საგენტოს გადაწყვეტილება საქონელზე	დადასტურება	უარყოფა	დამატებითი კვლევა	არ ექცევა რეგლამენტის ქვეშ

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი

გადამხდელის დასახელება

გადამხდელის მისამართი

ელფოსტა

ტელეფონი

განცხადება

სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება

წარმოგიდგენთ, სამშენებლო პროდუქტის იმპორტის შესახებ ინფორმაციას.

საქონელზე პასუხისმგებელი პირის ს/ნ ან პ/ნ:----------

საქონელზე პასუხისმგებელი პირის დასახელება:----------

საქონელზე პასუხისმგებელი პირის მისამართი:----------

საქონელზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ტელეფონი:----------

სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე:----------

სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე:----------

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: ----------

ID: -----, შტრიხკოდი: ----------

ქ. თბილისი, ----------

ცემენტი

პროდუქტის დასახელება	კოდი	წონა/რაოდენობა, ზომის ერთეული	ინვოისის ნომერი, თარიღი	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	მწარმოებელის მისამართი	ექსპორტიორი ქვეყანა	ექსპორტიორის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	ექსპორტიორის მისამართი	თვისებების დეკლარაციის ნომერი, თარიღი	სტანდარტი	შესაბამისობის დამად. სხვა დოკუმენტი	საკანონმდებლო გამონაკლისის საფუძველი	საკანონმდებლო გამონაკლისის დამ. ინფ.
-	-	-	-	–	-	–	–	-	–	-	–	-	-	–

ელექტროკაბელი

პროდუქტის დასახელება	კოდი	წონა/რაოდენობა, ზომის ერთეული	ინვოისის ნომერი, თარიღი	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	მწარმოებელის მისამართი	ექსპორტიორი ქვეყანა	ექსპორტიორის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	ექსპორტიორის მისამართი	თვისებების დეკლარაციის ნომერი, თარიღი	სტანდარტი	შესაბამისობის დამად. სხვა დოკუმენტი	საკანონმდებლო გამონაკლისის საფუძველი	საკანონმდებლო გამონაკლისის დამ. ინფ.
-	-	-	-	–	-	–	–	-	–	-	–	-	-	–

არმატურა

პროდუქტის დასახელება	კოდი	წონა/რაოდენობა, ზომის ერთეული	ინვოისის ნომერი, თარიღი	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	მწარმოებელის მისამართი	ექსპორტიორი ქვეყანა	ექსპორტიორის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	ექსპორტიორის მისამართი	კლასი/გრადაცია	სტანდარტი	ნომერი, თარიღი	გამცემი პირი	შემოწმების სერთიფიკატი 3.1 ნომერი, თარიღი, კლასი/გრადაცია	შესაბამისობის დამად. სხვა დოკუმენტი
-	-	-	-	–	-	–	–	-	–	-	–	-	-	–	-

პლასტმასის მილები

პროდუქტის დასახელება	კოდი	წონა/ რაოდენობა, ზომის ერთეული	ინვოისის ნომერი, თარიღი	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	მწარმოებელის მისამართი	ექსპორტიორი ქვეყანა	ექსპორტიორის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	ექსპორტიორის მისამართი	ტექნიკური დოკუმეტის ტიპი	დოკუმეტის ნომერი, თარიღი
-	-	-	-	–	-	–	–	-	–	-	–

თაბაშირ-მუყაო

პროდუქტის დასახელება	კოდი	წონა/რაოდენობა, ზომის ერთეული	ინვოისის ნომერი, თარიღი	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	მწარმოებელის მისამართი	ექსპორტიორი ქვეყანა	ექსპორტიორის ს/ნ ან პ/ნ, დასახელება	ექსპორტიორის მისამართი	თვისებების დეკლარაციის ნომერი, თარიღი	სტანდარტი	შესაბამისობის დამად. სხვა დოკუმენტი	საკანონმდებლო გამონაკლისის საფუძველი	საკანონმდებლო გამონაკლისის დამ. ინფ.
-	-	-	-	–	-	–	–	-	–	-	–	-	-	–

ნაწილი 2

გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი

გადამხდელის დასახელება

გადამხდელის მისამართი

გადამხდელის ელფოსტა

გადამხდელის ტელეფონი

სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს
გადაწყვეტილება საქონელზე:

თარიღი: ----------

ID: -----, შტრიხკოდი: ----------

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას (ჯიქიას) ქ. N8, IV სართული, 0186
ელ. ფოსტა: info@MSA.gov.ge
ტელ:.: 1483

დანართი №2

„სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმა, მისი შევსებისა და დადასტურების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინება“ (დანართი №2-01) (შემდგომში – „შეტყობინება“) ელექტრონულად ივსება და რეგისტრირდება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით.

2. თუ სასაქონლო პარტია შედგება რამდენიმე დასახელების სათამაშოსაგან, იმპორტიორის მიერ შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ერთი ან რამდენიმე „შეტყობინება“.

3. „შეტყობინება“ შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) ნაწილი I („ინფორმაცია საქონლის შესახებ“), რომელიც ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად ივსება იმპორტიორის მიერ და რეგისტრირდება იმპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციამდე;

ბ) ნაწილი II („სააგენტოს გადაწყვეტილება საქონელზე“), რომელშიც ელექტრონულად აისახება სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) უფლებამოსილი პირის მიერ საქონლის მიმართ განხორციელებული/განსახორციელებელი პროცედურების შესახებ ინფორმაცია ან/და მიღებული გადაწყვეტილება.

4. „შეტყობინების“ ნაწილი I უნდა შეიცავდეს მონაცემებს სათამაშოს შესაბამისობის შეფასებისათვის, „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №47 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ის არსებობის შესახებ, აგრეთვე, საქონლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას.

5. ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება საქონლის ამავე ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობა, უნდა აიტვირთოს „შეტყობინების“ ელექტრონულ მოდულში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით, „შეტყობინების“ ნაწილი I-ის („ინფორმაცია საქონლის შესახებ“) რეგისტრაციამდე. ელექტრონულად წარდგენილი ეს დოკუმენტები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან/იმპორტიორთან, რომელიც ვალდებულია, მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი შემოსავლების სამსახურს ან/და სააგენტოს.

6. „შეტყობინების“ ნაწილი I რეგისტრაციისთანავე წარედგინება შემოსავლების სამსახურსა და სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით.

7. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის შემოწმება ხორციელდება რისკების მართვის სისტემის გამოყენებით.

8. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის რეგისტრაციისთანავე, „შეტყობინება“ დასტურდება ავტომატურად, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში ინტეგრირებულ რისკის პროფილთან საქონლის მონაცემების თანხვედრის შემთხვევაში, სააგენტო არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ახორციელებს „შეტყობინებისა“ და თანდართული დოკუმენტების სრულ ან ნაწილობრივ შემოწმებას, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად. შემოწმების შედეგად სააგენტოს მიერ შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება „შეტყობინების“ დადასტურების, უარყოფის ან დამატებითი კვლევის საჭიროების შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „შეტყობინება“ შევსებულია ისეთ საქონელზე, რომელზეც არ ვრცელდება ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება, სააგენტოს მიერ კეთდება შემდეგი მითითება – „არ ექცევა რეგლამენტის ქვეშ“. განსაზღვრულ ვადაში სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, „შეტყობინება“ დასტურდება ავტომატურად, მისი ნაწილი I-ის რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის გასვლისთანავე.

10. თუ სააგენტოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება დამატებითი კვლევის საჭიროების შესახებ, ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება. შესაბამისი კვლევის (მათ შორის, ლაბორატორიული კვლევა) შედეგების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება „შეტყობინების“ დადასტურების ან უარყოფის შესახებ ან მიეთითება „არ ექცევა რეგლამენტის ქვეშ“.

11. სათამაშოს იმპორტისას საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ „შეტყობინების“ დადასტურების შემდეგ. დადასტურებული „სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინება“ დანართი №2-02-ით გათვალისწინებული ფორმით უნდა დაერთოს იმპორტის საბაჟო დეკლარაციას.

12. ამ წესის მიზნებისათვის ტერმინები „საქონელი“, „პროდუქტი“ და „სათამაშო(ები)“ გამოიყენება ტექნიკური რეგლამენტის VII და VIII დანართებით განსაზღვრული სათამაშო(ებ)ის მნიშვნელობით.

მუხლი 2. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის („ინფორმაცია საქონლის შესახებ“) შევსება

1. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის („ინფორმაცია საქონლის შესახებ“) გრაფები იმპორტიორის მიერ ივსება ელექტრონულად, გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით, რის საფუძველზეც ხორციელდება იმპორტიორის იდენტიფიცირება.

2. „შეტყობინების“ ნაწილი I-ის („ინფორმაცია საქონლის შესახებ“) შესაბამის გრაფებში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) გრაფა 1. „პროდუქტი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის (სათამაშო) შესახებ. კერძოდ, გრაფის განყოფილებაში:

ა.ა) „კატეგორია“ – შეირჩევა ტექნიკური რეგლამენტის VII და VIII დანართებით განსაზღვრული საქონლის შესაბამისი კატეგორია;

ა.ბ) „დასახელება“ – შეირჩევა ტექნიკური რეგლამენტის VII და VIII დანართებით განსაზღვრული საქონლის შესაბამისი დასახელება;

ა.გ) „დასახელება (სხვა)“ აღინიშნება სათამაშოს ზოგადი აღწერილობა ან საქონლის დასახელება;

ა.დ) „კოდი“ – მიეთითება ტექნიკური რეგლამენტის დანართი VII-ით გათვალისწინებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო კოდებიდან ერთ-ერთი, ხოლო დანართი VIII-ით გათვალისწინებული სათამაშოს შემთხვევაში, აღნიშნული გრაფა არ ივსება;

ა.ე) „რაოდენობა/წონა“ – აღინიშნება კონკრეტული საქონლის რაოდენობრივი/წონის მაჩვენებელი;

ა.ვ) „საზომი ერთეული“ – მიეთითება შესაბამისი ზომის ერთეული: კგ, ცალი ან სხვ.

ბ) გრაფა 2. „ინვოისი“ – გრაფის შესაბამის განყოფილებებში აღინიშნება კონკრეტული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ნომერი და თარიღი;

გ) გრაფა 3. „მწარმოებელი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, სადაც წარმოებულია სათამაშო; გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – მწარმოებლის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული „მეორეული სათამაშოს“ შემთხვევაში ამ გრაფის შევსება სავალდებულო არ არის;

დ) გრაფა 4. „ექსპორტიორი“ – მიეთითება ინფორმაცია კონკრეტული საქონლის ექსპორტიორის შესახებ, კერძოდ: გრაფის განყოფილებაში „ქვეყანა“ – შეირჩევა ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი სათამაშოს ექსპორტი; გრაფის განყოფილებაში „ს/ნ ან პ/ნ“ მიეთითება ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გრაფის განყოფილებაში „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; ხოლო გრაფის განყოფილებაში „მისამართი“ – ექსპორტიორის მისამართი;

ე) გრაფა 5. „შესაბამისობის დადასტურება“ – აღინიშნება მონაცემები, რითაც დასტურდება კონკრეტული საქონლის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ პირობებთან (მათ შორის, „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №47 დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სტანდარტებთან), კერძოდ:

ე.ა) გრაფის განყოფილება „შესაბამისობის დეკლარაცია“ ივსება, თუ საქონელს თან ახლავს ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული „შესაბამისობის დეკლარაცია“ და განყოფილების სვეტებში შესაბამისად მიეთითება წარმოდგენილი დოკუმენტის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გაცემის თარიღი და იმ სტანდარტის ნომერი/ტექნიკური სპეციფიკაცია, რომელსაც აკმაყოფილებს კონკრეტული საქონელი;

ე.ბ) გრაფის განყოფილება „შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი“ ივსება, თუ „შესაბამისობის დეკლარაციის“ ნაცვლად წარმოდგენილია შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ „მეორეული

სათამაშოს“ შემთხვევაში - სათამაშოს მეორეულობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ განყოფილების პირველ სვეტში მიეთითება შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, ხოლო მეორე სვეტში – ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქონლის შესაბამისობის დასადგენად;

